საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030143695825520

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/9986 **20 / აგვისტო / 2020 წ.**

თელავის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ შოთა ნარეკლიშვილს

სენაკის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლევან კუპრეიშვილს

კოლეგებო,

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 19 აგვისტოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გაიმართა „საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმის მხარდაჭერის მიზნით, ფსიქიატრიული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტის განხორციელების მიზნით“ უწყებათაშორისო საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრა.

შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოყოფილი საგრანტო დახმარების ფარგლებში (94.11 მილიონ ჩინურ იუანი/13.5 მლნ დოლარი), თელავსა და სენაკში ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის (30 საწოლიანი) მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის პროექტის განხორციელების შეთანხმებით გათვალისწინებული ქართული მხარის ვალდებულებები და მხარეთა შორის თანამშრომლობის შემდგომი ნაბიჯები.

პროექტის განხორციელების შეთანხმება ეფუძნება 2018 წლის 1 ნოემბერს ჩინეთისა და საქართველოს მთავრობებს შორის გაფორმებულ ნოტების გაცვლის გზით შეთანხმებას, რომლის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელდა 2018 წლის 5 სექტემბერს.

ზემოაღნიშნული სხდომის ფარგლებში, საკოორდინაციო ჯგუფის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამუშაო ჯგუფის ფორმირების თაობაზე. შესაბამისად, გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ საკონტაქტო პირი, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის განხორციელების შეთანხმებით გათვალისწინებული ქართული მხარის ვალდებულებების შესრულების მიზნით თქვენი უწყების შიგნით საკითხის კოორდინაციას, ასევე, განიხილოთ „საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრების მხარდაჭერის პროექტის განხორციელების თაობაზე“ შეთანხმების თანდართული პროექტი და მიმდინარე წლის 10 სექტემბრამდე მოგვაწოდოთ შენიშვნები/წინადადებები თქვენი მუნიციპალიტეტების მიერ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ამას გარდა, გთხოვთ, გვაცნობოთ თელავსა და სენაკში პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი ტერიტორიები რამდენად შეესაბამება/აკმაყოფილებს პროექტით მოთხოვნილ პირობებს.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური